



Ethnic / Linguistic Minorities in Georgia and the Protection of their Linguistic Rights

Tariel Putkaradze

*Professor, Doctor of Philology, Head of Kartvelology Centre at the Saint Andrew
the First-Called Georgian University*

ABSTRACT

While discussing the legal framework for the „linguistic rights” of ethnic/linguistic minorities, the Georgian authorities should first consider the position of the ‘fathers’ of the „European Charter for Regional or Minority Languages” concerning the difference between the autochthonous (historical) and new minorities; However, full realization of the linguistic rights of the Georgian state language, autochthonous minorities or migrant minorities on the territory of Georgia is impossible until the complete de-occupation of Georgia.

Academic, depoliticized descriptions and qualifications of the linguistic and ethnic situation of Georgia should be given essential importance in the process of Georgia’s integration with the civilized world. It is desirable to be timely balanced Russian imperial ideologies and qualifications in the field of Kartvelology at the international scientific or information field.

KEYWORDS: Linguistic rights, Minorities, Language situation

NOTES:

1. Kartlis Tskhovreba (Georgian Chronicles), Edited by Simon Kaukhchishvili, volume 1, 1955 <https://sites.google.com/site/tskharoebi/home/kartlistskhovreba-leontimroveli>. (In Georgian)
2. Constitution of Georgia, 1021. (In Georgian)
3. http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf. (Last seen: 08.10.2020 6.).
4. about discussion see: T. Putkaradze, I. Vashakidze 2011. Two Types of Planning of Kartvelology in 1917-1935 /Comparative Analysis of Positions of Ivane Javakhishvili and Nicholas Marr/, Tbilisi, Printing House „Universal”. [http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315604_\(in Georgian\)](http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315604_(in_Georgian)). T. Putkaradze, E.Dadiani, R. Sherozia. 2010. „European Charter for Regional or Minority Languages” and Georgia”, Kutaisi. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315589> , p. 29-48. (In Georgian; In English).
5. <http://www.parliament.ge/uploads/other/132/132676.pdf> (Last seen: 08.10.2020). (in Georgian)
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> (Last seen: 08.10.2020). (In Georgian)
7. <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/vienna.aspx> (Last seen: 08.10.2020). (In Georgian)
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> (Last seen: 08.10.2020 6). (In Georgian)
9. <https://www.osce.org/files/f/documents/a/8/67536.pdf> (Last seen: 08.10.2020 6). (In English)
10. <https://www.osce.org/files/f/documents/7/7/30331.pdf> (Last seen : 08.10.2020 6). (In English)
11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0> (Last seen: 08.10.2020 6). (In Georgian)
12. T. Putkaradze, E.Dadiani, R. Sherozia. 2010. „European Charter for Regional or Minority Languages” and Georgia”, Kutaisi. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315589>. (In Georgian; In English).
13. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> (Last seen: 08.10.2020). (In Georgian)
14. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=59> (Last seen 08.10.2020). (In Georgian)
15. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=4> (Last seen 08.10.2020). (In Georgian)
16. About subjective interests read more in) T. Putkaradze 2019. Contemporary Challenges of Kartvelology,

- Tbilisi, Printing House „Universal”. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315617>. (In Georgian)
17. T. Putkaradze 2009. „European Charter for Regional or Minority Languages” and an Issue of Plannig Linguistic Policy in Georgia, Tbilisi, Printing House „Universal”.
 18. <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia>. (In Georgian)
 19. <https://www.ecmi.de/publications/ecmi-research-papers/42-georgia-and-the-european-charter-for-regional-or-minority-languages> (Last seen: 05.10.2020). (In English)
 20. https://www.ecmi.de/fileadmin/downloads/publications/working%20papers/working_paper_42_ge.pdf
 21. (Last seen: 05.10.2020).
 22. the second half of the citation is unclear in english original, also in russian version „In addition, four distinct languages are spoken by the majority Georgian population – Georgian, Megrelian, Svan and Laz – although these are basically vernacular languages that are not normally written (გვ. 4); К тому же, грузинское большинство говорит на четырех отдельных языках – грузинском, мегрельском, сванском и лазском – хотя это местные языки, обычно не имеющие письменности (გვ. 4) (In English)
 23. https://www.ecmi.de/fileadmin/downloads/publications/working%20papers/working_paper_42_ru.pdf (Last seen: 05.10.2020).
 24. https://www.ecmi.de/fileadmin/redakteure/publications/pdf/working_paper_42_en.pdf.
 25. https://www.ecmi.de/fileadmin/redakteure/publications/pdf/working_paper_42_en.pdf
 26. (Last seen: 05.10.2020). (In English)
 27. T. Putkaradze, E.Dadiani, R. Sherozia. 2010. „European Charter for Regional or Minority Languages” and Georgia”, Kutaisi. 2010 <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315589> p. 149-175. (In Georgian; In English)
 28. About discussion read more in T. Putkaradze 2005. The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); 2005. Printing House „Kutaisi State University”, English version pg. 395-492. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315602>. (In Georgian; In English)
 29. About discussion read more in T. Putkaradze Contemporary Challenges of Kartvelology, Tbilisi, Printing House „Universal”, 2019. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315617>. (In Georgian)
 30. K. Gabunia. Language Situation in Modern Georgia 1. Kartvelian Languages, International Journal of Multilingual Education, № 3, 2014 გვ. 45-69. (In Georgian)
 31. Language: Medium, Barrier or Trojan Horse?: „In recent years, linguists have drawn attention to the existence of other functions of language, one of which is... language as the means of expressing identity: who we are (as an individual or a group), where we are from (regionally, socially, occupationally). It manifests itself both interlinguistically, in the form of the individual languages, which identify the nation states or ethnic groups, and intralinguistically, in the form of the local accents and dialects, which reflect where we were brought up. This is the identify view of language” in: David Crystal, Language: Medium, barrier, or trojan horse?/ Cultural diplomacy at the crossroads: Cultural Relations in Europe and the wider world, Wilton House, 1997; <http://www.davidcrystal.com/Files/BooksAndArticles/-4879.pdf>. (In English)
 32. Dialects, languages and ethnicity: Language is a primary characteristic and an *always present* characteristic of ethnicity. Without language you would have an incomplete description of ethnicity. Language is the primary component of ethnicity. Language is tied up with our psyche, as individuals and as a society. Language is a component of thought. Thus language is integral to worldview. Differences in worldview involve differences in thought and language. Yes, language is the primary component of ethnicity. Yet it is still only one component among others. in: Orville Boyd Jenkins, Dialects, Languages and Ethnicity; Based on notes in an email dialogue with other researchers and linguists October 08, 2002 <http://ojtr.org/languages/dialectslangsethnicity.html>. (In English)
 33. Kimberly A. Noels, Language variation and ethnic identity: A social psychological perspective: The relation between language and ethnicity has long interested sociolinguists and social psychologists alike. Variations in linguistic patterns are argued to be influenced by speakers’ ethnicities, and, in a reciprocal fashion, language use has been suggested to create and substantiate ethnicity. in: Kimberley A. Noels, Language Variation and Ethnic Identity, A social phsychological perspective/Language and Communications, 2014. (In English)
 34. http://sites.psych.ualberta.ca/IClab/wordpress/wp-content/uploads/2016/08/Noels2014_LangComm.pdf (In English)
 35. Language and Ethnicity: An Iridescent Relation: „Though language is not the only factor or the most important factor, which distinguishes ethnic groups, many scholars have so far argued that language is among the key factors in terms of which an ethnic group is distinguished from other group(s)” in: Masatsugu Matsuo, Language and Ethnicity : An Iridescent Relation/IPSHU English Research Report Series, issue 23, Hiroshima

- University Peace Science Research Center, Hiroshima, 2009; (In English)
36. <http://home.hiroshima-u.ac.jp/heiwa/Pub/E23/03matsuo.pdf> (In English)
37. For the reasons of Joshua Fishman read more: Language and Ethnic Identity, edited by Joshua A Fishman, New York-Oxford, Oxford University press, 1999 (In English)
38. <http://people.cas.sc.edu/dubinsk/LING240/readings/Liebkind.1999.Social.psychology.pdf>. (In English)
39. For the „systematic identities and differences read more in: M. Labadze, Problem of Distinctions Between Language and Dialect: Systemic-structural criterion, a critical analysis, Kartvelian Heritage, XX, Kutaisi, pg. 140-152). About the criteria between Language and Dialect read more in:); T. Gvantseladze, A question of Language and Dialect in Kartvelology, Universali publishing, Tbilisi, 2006) T. Putkaradze 2008. The National Language and the Dialects of Kartvels (Georgians), Kutaisi, 2008. Printing House „Lampari” <http://www.scribd.com/doc/8727375/T-Putkaradze-Kartvelta-Dedaena-Da-Dialeqtebi-2008>; <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315609> ; T. Putkaradze 2017. Retrospect of Language and Dialect Distinction Criteria and Politicizing Qualification of Kartvelian Idioms, Works of The St. Andrew the First-Called Georgian University of The Patriarchate of Georgia Faculty of Humanities and Law, VII, Tbilisi, pg., 115-134. M. Labadze, The Issue of Distinction Between Language and Dialect In The Linguistic Kartvelology, Taking into Account the International Experience, Tbilisi, Georgian University Press, 2019 [electronic publication] დღ ბგ. (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Gabunia K. 2014. Language Situation in Modern Georgia 1. Kartvelian Languages, International Journal of Multilingual Education, № 3 (In Georgian)
2. http://www.multilinguaeducation.org/storage/uploads/articles_contents/160719012522.pdf
3. Gvantseladze T. 2006. A question of Language and Dialect in Kartvelology, Universali publishing, Tbilisi. (In Georgian)
4. Vashakidze I. Putkaradze T. 2011. Two Types of Planning of Kartvelology in 1917-1935 /Comparative Analysis of Positions of Ivane Javakhishvili and Nicholas Marr/, Tbilisi, Printing House „Universal”. [http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315604_\(In Georgian\)](http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315604_(In%20Georgian))
5. Labadze M. 2018. Problem of Distinctions Between Language and Dialect: Systemic-structural criterion, a critical analysis, Kartvelian Heritage, XX, Kutaisi, pg. 140-152. (In Georgian)
6. Labadze M. 2019. The Issue of Distinction Between Language and Dialect In The Linguistic Kartvelology, Taking into Account the International Experience, Tbilisi, Georgian University Press, [electronic publication]. (In Georgian)
7. Crystal D. 1997. Language: Medium, barrier, or trojan horse?/Cultural diplomacy at the crossroads: Cultural Relations in Europe and the wider world, Wilton House. (In English)
8. <http://www.davidcrystal.com/Files/BooksAndArticles/-4879.pdf>. (In English)
9. Boyd Jenkins O. 2002. Dialects Languages and Ethnicity; Based on notes in an email dialogue with other researchers and linguists October 08, (In English)
10. <http://ojtr.org/languages/dialectslangsethnicity.html>.
11. Noels K, 2014. Language Variation and Ethnic Identity, A social psychological perspective/Language and Communications. (In English)
12. http://sites.psych.ualberta.ca/IClab/wordpress/wp-content/uploads/2016/08/Noels2014_LangComm.pdf.
13. Matsuo M. 2009. Language and Ethnicity : An Iridescent Relation/IPSHU English Research Report Series, issue 23, Hiroshima University Peace Science Research Center, Hiroshima <http://home.hiroshima-u.ac.jp/heiwa/Pub/E23/03matsuo.pdf>. (In English)
14. Fishman J. 1999. Language and Ethnic Identity, New York-Oxford, Oxford University press, <http://people.cas.sc.edu/dubinsk/LING240/readings/Liebkind.1999.Social.psychology.pdf>. (In English)
15. Putkaradze T. 2005. The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); 2005. Printing House „Kutaisi State University”, English version pg. 395-492. (In Georgian)
16. <http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels> <http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculer> <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315602>
17. Putkaradze T. 2008. The National Language and the Dialects of Kartvels (Georgians), Kutaisi, 2008. Printing House „Lampari” <http://www.scribd.com/doc/8727375/T-Putkaradze-Kartvelta-Dedaena-Da-Dialeqtebi-2008>; <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315609> (In Georgian)

18. Putkaradze T. 2009. „European Charter for Regional or Minority Languages” and an Issue of Plannig Linguistic Policy in Georgia, Tbilisi, Printing House „Universal”. (In Georgian) <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia> (In Georgian)
19. Putkaradze T. Dadiani E. Sherozia R. 2010. „European Charter for Regional or Minority Languages” and Georgia”, Kutaisi. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315589>. (In Georgian; In English).
20. Putkaradze T. 2017. Retrospect of Language and Dialect Distinction Criteria and Politicizing Qualification of Kartvelian Idioms, Works of The St. Andrew the First-Called Georgian University of The Patriarchate of Georgia Faculty of Humanities and Law, VII, Tbilisi,, pg., 115-134. (In Georgian)
21. Putkaradze T. 2019. Contemporary Challenges of Kartvelology, Tbilisi, Printing House „Universal”.<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315617>. (In Georgian)
22. Kartlis Tskhovreba (Georgian Chronicles) 1955. Edited by Simon Kaukhchishvili, volume 1, <https://sites.google.com/site/tskharoebi/home/kartlistskhovreba-leontimroveli>. (In Georgian)

ეთნიკური/ენობრივი უმცირესობები საქართველოში და მათი ენობრივი უფლებების დაცვის საკითხი

ტარიელ ფუტკარაძე

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ანდრია ჰირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

საპპანდო სიმყვამბი: ლინგვისტური უფლებები, უმცირესობები, ენობრივი სიტუაცია

ბუნებრივი ენის საშუალებით ადამიანი დაბადებისთანავე იწყებს გარესამყაროს აღქმას, შემეცნებას, გააზრებას და ამყარებს ურთიერთობას საზოგადოების სხვა წევრებთან. გარდა ამისა, ყოველი კონკრეტული ტრადიციული ენა მოცემული საზოგადოების წევრების თანაცხოვრების კომფორტული „ველია“. ენა ამავედროულად არის ცოდნის შენახვის საშუალება. რაც უფრო დიდია მოცემული ენის სამნიგნობრო, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობა, მით უფრო ძლიერია ამ ენის შემქმნელი საზოგადოების ერთობა. გამომდინარე აქედან, სავსებით ლოგიკურია, ვთქვათ: ტრადიციული ენა არის ადამიანის მეობის, ასევე, მოცემული საზოგადოების (თემის, ეთნიკური ჯგუფის, ერის, სახელმწიფოს მოქალაქეების) თვითობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია (შდრ., ასევე, მნიშვნელოვანია რელიგია და მოქალაქეობრივი იდენტობა). ბუნებრივია, ყველა ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ენა, როგორც ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობა და დაიცვას მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეთა ლინგვისტური (ენობრივი) უფლებები.

ენა, როგორც მოცემული საზოგადოების წევრთა თანაცხოვრების კომფორტული სივრცე, შეიძლება იყოს:

- სახელმწიფო ენა;
- მოცემულ სახელმწიფოში ისტორიული ან მიგრანტი ეთნიკური უმცირესობის ენა;
- მოცემული სახელმწიფოს სახელმწიფო ენის სახესხვაობა, რომელიც ზეპირი ფორმით არსებობს ამ სახელმწიფოს ერთ კონკრეტულ მხარეში ტერიტორიული დიალექტის სახით;
- მოცემული საზოგადოების რომელიმე ფენის მეტყველება (სოცალური დიალექტი, პროფესიული დიალექტი, ჯარგონი, არგო...).

უმცირესობის ენობრივ უფლებებზე საუბრის დროს უაღრესად მნიშვნელოვანია, პირველ რიგში გავარკვიოთ მოცემული საზოგადოების **რეალური ენობრივ-ეთნიკური ისტორია**, რადგან, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ზოგჯერ ერთი ენის მქონე საზოგადოება მიზანმიმართულად ცხადდება სხვადასხვაენოვან საზოგადოებებად, ან პირიქით: სხვადასხვა ენისა და კულტურის მქონე საზოგადოებები – ერთენოვან ეთნოსად. შესაბამისად, საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით ენობრივი უფლებების დაცვაზე საუბრისას მნიშვნელოვანია მოცემულ სახელმწიფოში რეალურად არსებული უმცირესობის სტატუსის

გარკვევა: თუ ენობრივი /ეთნიკური უმცირესობაა, ეს უმცირესობა ისტორიული (ავტოქთონი) უმცირესობაა თუ მიგრანტი უმცირესობაა; მაგ., გასული საუკუნის შუა პერიოდიდან გერმანიაში მცხოვრობ მილიონობით თურქის მშობლიურ ენას არა აქვს „რეგიონული ან უმცირესობის ენის“ სტატუსი, მაშინ როცა ამგვარი სტატუსი აქვს, მაგ., რუსულ ენას სომხეთში, მაშინ როცა რუსული ენა ნამდვილად არ არის სომხეთის რესპუბლიკის ავტოქთონი უმცირესობის ენა. წინასწარვე აღვნიშნავ, რომ საბჭოთა პერიოდში პოლიტიზებული ლინგვისტური და ეთნიკური იდეოლოგიების ინერციის გამო **პოსტსაბჭოთა ქვეყნებში** უფრო პრობლემურია **ენობრივი/ეთნიკური უმცირესობის სტატუსის განსაზღვრა**. ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს ენობრივი პოლიტიკისა და საქართველოს ენობრივი/ეთნიკური უმცირესობების შესახებ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული კვლევების კრიტიკული ანალიზი.

საქართველოს ენობრივი პოლიტიკის ძირითადი ნახნაბები

ძვ.წ. პირველი ათასწლეულიდან არსებობდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფო – ქართლის ერთიანი სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს. ისტორიული წყაოების მიხედვით ძვ.წ. IV საუკუნეში ქუჩისა და ფარნავაზის მიერ აღორძინებული ქართლი არსებობდა ვახტანგ გორგასლის მკვლევლობამდე (VI საუკუნეებამდე). „საქართველოს“ სახელით ქართველთა ერთიანი სახელმწიფო ისევ აღორძინდა XI საუკუნეში და არსებობდა XV საუკუნემდე. ამავე სახელწოდებით, მაგრამ გაცილებით მცირე ტერიტორიით ერთიანი სახელმწიფო კიდევ ერთხელ აღორძინდა 1918 წელს. სხვა პერიოდებში საქართველო დანაწევრებული იყო პატარა-პატარა ქართულენოვან სამეფო-სამთავროებად (იმერეთის სამეფო, აფხაზეთის სამეფო, ეგრისი, ქართლი, კახეთი, ოდიში, სამცხე-საათაბაგო, გურიის სამთავრო); ეს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები სხვადასხვა იმპერიის გავლენის ქვეშ არსებობდნენ XV საუკუნიდან XIX საუკუნემდე, ვიდრე მათი დიდი ნაწილის ოკუპაცია/ანექსია არ მოახდინა რუსეთის იმპერიამ (უფრო ადრე, XVI-XVII საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს – სამხრეთ საქართველოს – ანექსია განახორციელა ოსმალეთის იმპერიამ). დოკუმენტური მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულ მცირე 23 საუკუნის განმავლობაში ქა-

რთული ენა იყო ამ სახელმწიფოების სახელმწიფო ენა, საქართველოს ეკლესიის ღვთისმსახურების ენა და ქართველთა მნიგნობრობის ენა.

ისტორიულ ეპოქაში რთულია ენობრივ-ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებზე საუბარი, თუმცა ფაქტია, რომ რთულ გეოპოლიტიკურ ველში არსებულ საქართველოში ყველა ეპოქაში არაერთი ეთნოსი ცხოვრობდა და, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოში ქართულის გარდა სხვა რამდენიმე ენაც ფუნქციონირებდა. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობა გვაქვს „ქართლის ცხოვრებაში“, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში საქართველოში თანაარსებობდა შემდეგი ენები: სომხური /ანუ ურარტული ენა – ტ.ფ./, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. „ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“¹. ამავე პერიოდში სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული ენა, თუმცა, სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ მოქცეულ საქართველოში, სხვა ენებიც აქტიურად იყო გამოყენებული. საქართველოს დიდი სახელმწიფოს არსებობისა და ძლიერი ხელისუფლების პირობებშიც მრავალეთნიკური მოსახლეობა მშვიდობიანად თანაარსებობდა და არასოდეს წამოჭრილა ენობრივი და რელიგიური უფლებების შელახვის საკითხი, ვიდრე საქართველოში რუსეთის იმპერიის გაბატონებამდე (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ კი ენობრივი უფლებები მკაფიოდ გაიწერა საქართველოს კონსტიტუციაშიც, რომელი მიღებულ იქნა 1921 წელს. მალევე, საქართველო დაიპყრო რუსეთის საბჭოთა იმპერიამ, რის გამოც ეს კონსტიტუცია ფაქტობრივად არ ამოქმედებულა; თუმცა, ენობრივი უფლებების მიმართულებით მეტად საყურადღებოა საქართველოს პირველი კონსტიტუტიციის მამების ხედვა. კერძოდ, სახელმწიფო ენასა და უმცირესობათა ენობრივი უფლებების თემას ეხება 5 მუხლი:

ზოგადი დებულებები, მუხლი 3. საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა (აქაც და ქვემოთაც ხაზგასმა ჩემია – ტ.ფ.).

თავი IV, ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი, მუხლი 129. არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი საციალ-ეკო-

1 ქართლის ცხოვრება 1955. სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტომი I. Kartlis Tskhovreba (Georgian Chronicles), Simon Kaukhchishvili edition, volume I, 1955; <https://sites.google.com/site/tskhareobi/home/kartlistskhovreba-leontimroveli>

ნომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედაენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. **ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე.**

მუხლი 135. ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მუხლი 136. ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზედაც.

მუხლი 137. არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედაენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს. დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი².

ვფიქრობ, წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა კომენტარს არ საჭიროებს. ენობრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით იდეალური ფორმულირებებია ქართველი პოლიტიკოსების მიერ 100 წლის წინ მიღებულ სახელმწიფო დოკუმენტში.

საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციებს აქ არ განვიხილავ, თუმცა, აღვნიშნავ, რომ „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით მოქმედი საბჭოთა იმპერიის ხელისუფლება დაინტერესებული იყო, გაეზარდა საქართველოს „უმცირესობათა“ რაოდენობა და რაც შეიძლება ბევრი თემი გაეყვანა ქართული ენის, როგორც ქართველთა ეროვნული ენის, ველიდან. ამ მიზნით, სხვადასხვა დროს საქართველოში (/კავკასიაში) არსებული ათეულობით დიალექტი გამოაცხადა ე.წ. „უმწერლებო ენად“ თუ უმცირესობის ენად³.

2 საქართველოს კონსტიტუცია 1921. http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf. (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

3 მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე 2011. ქართველოლოგიის ორგვარი დაგვეგვ 1917-1935 წლებში, თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“. T. Putkaradze, I. Vashakidze 2011. **Two Types of Planning of Kartvelology in 1917-1935 / Comparative Analysis of Positions of Ivane Javakhishvili and Nicholas Marr**, Tbilisi, Printing House „Universal“. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315604> ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია 2010. „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო“, ქუთაისი, გვ. 29-48.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო ენის (ენების) სტატუსის დაცვისა და ენობრივი/ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვის პრინციპებს განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან (09.05.1991 წ.) საქართველოს აღიარებული აქვს ყველა საერთაშორისო დოკუმენტის პრიმატი; კერძოდ, საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით საქართველოში ძალაშია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი)⁴; რატიფიცირებულია „ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების შესახებ გაეროს 1992 წლის დეკლარაცია“⁵. ძალაში შესულია საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“⁶, გაეროს 1993 წლის ვენის დეკლარაცია⁶, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი)⁷, ეუთოს ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით (თებერვალი, 1998 წელი)⁸ და ლუნდის რეკომენდაციები (სექტემბერი, 1999 წ.)⁹.

ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ 2000 წლის 21 იანვარს ხელი მოაწერა „ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა შესახებ“. საქართველოს პარლამენტმა ამ დოკუმენტის რატიფიკაცია მოახდინა 2005 წელს¹⁰.

1999 წელს საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ შეუერთდეს „ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ („ენის ქარტიას“); თუმცა, რიგი მიზეზების გამო დღემდე ფერხდება ამ უკანასკნელის რატიფიცირება¹¹.

4 <http://www.parliament.ge/uploads/other/132/132676.pdf> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

5 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

6 <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/vienna.aspx> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

7 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

8 <https://www.osce.org/files/f/documents/a/8/67536.pdf> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

9 <https://www.osce.org/files/f/documents/7/7/30331.pdf> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

10 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

11 მიზეზებისათვის ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია 2010. ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო, ქუთაისი.

საქართველოს ბოლო კონსტიტუციაშიც მკაფიოდაა განსაზღვრული როგორც ქვეყნის დომინანტი მოსახლეობის (ქართველებისა და აფხაზების), ასევე, უმცირესობათა ენობრივი უფლებები; კერძოდ; შდრ.:

მუხლი 2. სახელმწიფო სიმბოლოები: (3) „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური. სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით“.

მუხლი 11. თანასწორობის უფლება: (1) ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. (2) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

მუხლი 62. სამართალწარმოება: (4) „სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი“¹².

იხ. ასევე, კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ მუხლი 16)¹³, სადაც ვკითხულობთ: (თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება; (მ) „სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები“;

მუხლი 33. (1) საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია ყოველწლიურად შექმნას ერთი ან ერთზე მეტი რეგულარული პროგრამული პროდუქტი არანაკლებ 4 ენაზე, მათ შორის, აფხაზურ და ოსურ ენებზე...

ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებები შთამბეჭდავადაა დაცული, სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით; იხ, მაგ.: „კანონი

მოქალაქეობის შესახებ“, „კანონი გეოგრაფიული ობიექტების სახელის შესახებ“, „კანონი რეკლამის შესახებ“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ (მე-14 მუხლი), „კანონი საჯარო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (თბ., 2008, 27,4, 33, 51, 92 მუხლები), „კანონი განათლების შესახებ“, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, „სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი“, „ადმინისტრაციული კოდექსი“, „კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და სხვ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველომ ახლახან მიიღო კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“¹⁴, სადაც, ასევე, აქცენტირებულია უმცირესობათა ენობრივი უფლებები; კერძოდ:

მუხლი 7. (1) სახელმწიფო უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სახელმწიფო ენაზე მიღებას. განათლების არასახელმწიფო და ეროვნული უმცირესობის ენებზე მიღების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9. (3) იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობისთვის მიკუთვნილებული პირის სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე თარჯიმნის დახმარებით ურთიერთობას.

მუხლი 11. (2) იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, ადგილობრივი მნიშვნელობის ოფიციალური ღონისძიება (გარდა მუნიციპალიტეტის ორგანოს სხდომისა) შეიძლება ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე ჩატარდეს.

მუხლი 24. საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება მიეთითოს არასახელმწიფო ენაზედაც, ხოლო იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, – აგრეთვე ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე...

როგორც ვხედავთ, კანონმდებლობის თვა-

12 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

13 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=59> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

14 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=4> (დამოწმება: 08.10.2020 წ.).

ლსაზრისით საქართველოში ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაა განერილი, თუმცა, საქართველოს სრულ დეოკუპაციამდე შეუძლებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული ლინგვისტური უფლებების რეალიზაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ასევე, დღემდე ფერხდება ავტოქტონი უმცირესობის ენის (კულტურის) დაცვაზე ორიენტირებული „რეგიონული ან უმცირესობის შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება, რადგან საქართველოს აკადემიურ წრეებში არ არის კონსენსუსი უმცირესობის ავტოქტონობის „ასაკის“ შესახებ (რომელი უმცირესობა უნდა ჩაითვალოს ავტოქტონ უმცირესობად?). „ავტოქტონი ენობრივი უმცირესობისა“ თუ „ავტოქტონი ეთნიკური უმცირესობის“ განსაზღვრის სირთულეს ქმნის საბჭოთა პერიოდის ეთნიკური და ლინგვისტური კვალიფიკაციების ინერცია, ზოგი ექსპერტის მიერ ოკუპაციის პერიოდში ჩამოსახლებული უმცირესობების მიჩნევა ავტოქტონ უმცირესობებად, ასევე, ზოგი ჯგუფის სუბიექტური ინტერესი, ქართველთა კუთხური მეტყველებების (დიალექტების) ნაწილი გამოაცხადოს „ენობრივი უმცირესობის“ ე.წ. უმწერლობო ენებად¹⁵. ქვემოთ კრიტიკულად გავაანალიზებთ რამდენიმე განსხვავებულ მოსაზრებას საქართველოში „ენობრივი/ეთნიკური უმცირესობის“ განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს ენობრივი/ეთნიკური უმცირესობები ბოლო კვლევების მიხედვით

ტომამ ვიხერკევიჩისა და მისი ქართველი თანაავტორების მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის მომზადებული რეკომენდაციების შესახებ საუბარი ვრცლად გვქონდა სხვა გამოკვლევაში¹⁶. აქ მოკლედ აღვნიშნავ: მათი

15 სუბიექტური ინტერესის გამოვლენის ფაქტების შესახებ იხ.: ტ. ფუტკარაძე 2019. ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“. გვ. 97-119. T. Putkaradze 2019. **Contemporary Challenges of Kartvelology, Tbilisi**, Printing House „Universal“. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315617>

16 ტ. ფუტკარაძე 2009. „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“. T. Putkaradze 2009. **„European Charter for Regional or Minority Languages“ and an Issue of Plannig Linguistic Policy in Georgia**, Tbilisi, Printing House „Universal“. <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze->

აზრით, საქართველოში რეგიონული ან უმცირესობის ენების კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს **სომხურსა და აზერბაიჯანულს** (გვ. 35); ასევე, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ მეორე თავის დებულებები უნდა გავრცელდეს „ტერიტორიის არმქონე ენების“: **რუსულის, ბერძნულის, ებრაულის, ქურთულის/იგიზიდურის, უკრაინულის, ჩეჩნურის/ქისტურის, ასირიულის, აგარიულის (უმჭობესი იყო, საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალებშიც და ამ „რეკომენდაციებშიც“ დაფიქსირებულიყო აგარიელთა ქართული სახელწოდება: ხუნძური ენა – ტ.ფ.)** და „უმწერლობო ენების“: **მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მიმართ** (გვ. 36-37).

წარმოდგენილ კვლევაში საქართველოსთვის „ისტორიული ენების“ ასეთი ვრცელი სიის შექმნა განაპირობა „ქარტიის“ ტერმინოლოგიისა და დებულებების არასწორმა ინტერპრეტაციამ. დავძენთ იმასაც, რომ ამგვარ კვალიფიკაციებს „კვებავს“ საქართველოს ენობრივი სიტუაციის აღწერის საბჭოური ტრადიცია და ამ ტრადიციის გავლენით საერთაშორისო ქსელში დამკვიდრებული „საქართველოს უმცირესობათა ენების“ **არაადეკვატური სიები**.

2009 წლის ივნისში ინგლისურად, ქართულად და რუსულად (?) „უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის“ სახელით გამოქვეყნდა ჯონათან უითლის (Jonathan Wheatley) ოფიციალურ მოხსენება: *Georgia and the European Charter for Regional or Minority Languages*¹⁷. ავტორის აზრით, საქართველო მრავალენოვან და მრავალენოვან საზოგადოებას წარმოადგენს. მრავალ **უმცირესობათა ენაზე** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.) საუბრობენ საქართველოში, მათ შორისა: აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული, უკრაინული, კურმანჯი (ქურთული), ჩეჩნური (ქისტური), ოტომანური თურქული, პონტიური ბერძნული, სირიული, აგარული, წოვა-თუშური და უდიური. ამის გარდა, ქართული მოსახლეობის უმეტესობა საუბრობს **ოთხ განსხვავებულ ენაზე – ქართული, მეგრული, სვანური და ლაზური** – თუმცა ისინი ძირითადად ადგილობრივ ენებს წარმოადგენენ და არ გამოიყენება წერილთი ფორმით” (გვ. 4)¹⁸. ციტატის მეორე ნახევარ-

European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia

17 <https://www.ecmi.de/publications/ecmi-research-papers/42-georgia-and-the-european-charter-for-regional-or-minority-languages> (დამოწმება: 05.10.2020).

18 https://www.ecmi.de/fileadmin/downloads/publications/working%20papers/working_paper_42_ge.pdf (დამოწმება: 05.10.2020).

ში ალბათ იგულისხმება, რომ დასახელებული „ოთხი განსხვავებულ ენათაგან“ სამი „ენა“ არ გამოიყენება წერილობითი ფორმით¹⁹. ჯ. უითლის რეკომენდაციის მიხედვით, დასახელებული ენები, როგორც საქართველოს უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობები, დაცული უნდა იქნას „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიით“²⁰.

ჯ. უითლი კარგად იცნობს საქართველოს თანამედროვე ენობრივ სიტუაციას, ითვალისწინებს საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებსაც; მაგ., მაგ., (1) საბჭოთა პერიოდში ქართველი ერის დასაბრუნებლად შექმნილ რუსულ „ენათმეცნიერულ“ დივერსიებს, (2) ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსისადმი ზიანის მიყენების პერსპექტივას და სხვ. რაც მთავარია, აკადემიურ სიფრთხილეს იჩენს სახელმწიფო ენის სახესხვაობების ენად თუ კილოდ კვალიფიციციების დროს; თუმცა, საქართველოს ხელისუფლებისადმი რეკომენდაციების შემუშავებისას მას სწორი ინფორმაცია რომ ჰქონოდა ქართველთა ენობრივი ისტორიისა და საქართველოში ამჟამინდელი ეთნიკური უმცირესობების ჩამოსახლების ქრონოლოგიის შესახებ, სხვაგვარ დასკვნებს გააკეთებდა; კერძოდ: (1) ქართველთა ნაწილს ენობრივ უმცირესობად არ ჩათვლიდა; (2) „ენის ქარტიის“ არსიდან გამომდინარე, ირანის, ოსმალეთისა თუ რუსეთის დემოგრაფიული ექსპანსიის პირობებში ჩამოსახლებულ არაავტოქტონ ეთნიკურ ჯგუფებს საქართველოს ძირძველ (აბორიგენ) მოსახლეობად არ მიიჩნევდა და მათი ენების დაცულობის თვალსაზრისით საკმარისად ჩათვლიდა „ევროპულ ჩარჩო კონვენციასა“ თუ სხვა საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას²¹. შესაბამისად, „ენის ევრო-

პული ქარტიით“ საქართველოში დასაცავ რეგიონულ ან უმცირესობის ენათა გაცილებით მოკლე სიას შეადგენდა. ჯ. უითლის კვლევის კონტექსტში, „ენის ევროპული ქარტიის“ ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, ქვემოთ მოკლედ ვუპასუხებთ ერთ კითხვას:

ქართულ რეალობაში რამდენად მართებულია სახელმწიფო ენის სახესხვაობების ჩათვლა უმცირესობის ენებად?

უეჭველი ფაქტია, რომ საქართლოს სახელმწიფო ენა – ქართული სამწიგნობრო ენა – შეიქმნა საქართველოს ყველა კუთხის ქართველობის, მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი აქტიური ჩართულობით; შდრ., საფრანგეთის თუ ესპანეთის ბასკისთვის მართლაც სხვადასხვა ეთნიკური კულტურაა ბასკური ენა და სახელმწიფო ენა. ქართული სინამდვილე კი ასეთია: მეგრელი, ლაზი, სვანი მრავალი საუკუნის მანძილზე სხვა ქართველების მსგავსად საკუთარ დედაენაზე – ქართულ ენაზე – ქმნიდა სამწიგნობრო კულტურას. ლინგვისტური კვლევების საფუძველზე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთოქართველურ ენას და არა – ქართულ ენას (აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა) დიალექტს, ან რომელიმე სხვა კუთხის ქართველთა დიალექტს²²... ქართველთა ენობრივ ისტორიას თუ გავითვალისწინებთ, მეგრულს, სვანურსა და ლაზურს ქართულისაგან ცალკე მდგომ კულტურულ ერთეულებად ვერ გამოვაცხადებთ; შდრ.: „რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტიის“ მიზანია რეგიონული ან უმცირესობის ენების აღიარება კულტურული სიმდიდრის გამოხატულებად და რეგიონული ან უმცირესობის ენების ხელშესაწყობად გადამჭრელი მოქმედების აუცილებლობის აღიარება მათი, როგორც კულ-

19 ციტატის მეორე ნახევარი ბუნდოვანია ინგლისური დედანშიც და რუსულ ვარიანტშიც: „In addition, four distinct languages are spoken by the majority Georgian population – Georgian, Megrelian, Svan and Laz – although these are basically vernacular languages that are not normally written (გვ. 4); К тому же, грузинское большинство говорит на четырех отдельных языках – грузинском, мегрельском, сванском и лазском – хотя это местные языки, обычно не имеющие письменности (გვ. 4) https://www.ecmi.de/fileadmin/downloads/publications/working%20papers/working_paper_42_ru.pdf (დამოწმება: 05.10.2020).

https://www.ecmi.de/fileadmin/redakteure/publications/pdf/working_paper_42_en.pdf. (დამოწმება: 05.10.2020).

20 https://www.ecmi.de/fileadmin/redakteure/publications/pdf/working_paper_42_en.pdf (დამოწმება: 05.10.2020).

21 ამ თემაზე ვრცელი მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტ-

კარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია 2010. „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო“, ქუთაისი, გვ. 149-175.

22 მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე 2005. ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები), 2005. გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ინგლ. 395-492 გვ.; თურქ. 331-394 გვ. T. Putkaradze 2005. **The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects)**; 2005. Printing House „Kutaisi State University“, English version pg. 395-492. <http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels> <http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculer> <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315602>

ტურული იდენტობის, დაცვის მიზნით... მეგრე-ლისთვის, სვანისთვის თუ საკუთარი ისტორიის მცოდნე ლაზისთვის **ეროვნული კულტურის გამობრუნება** პირველ რიგში არის თავიანთი წინაპრების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი დედაენობრივი (/ქართულენოვანი) წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი კულტურა. შესაბამისად, ეთნიკურ ქართველებს გვაქვს ერთი მრავალსაუკუნოვანი დედაენა („მთავარი ენა“ და არა – დედის ენა) და არა – ოთხი „დედაენა“; ამგვარად, **გაუმართლებელია ქართველთა ერთი ნაწილის გამოცხადება საქართველოს ენობრივ თუ ეთნიკურ უმცირესობად**. აქვე აღვნიშნავ: ქართული ლექსიკური ერთეული „დედაენა“ ინგლისურად არ უნდა ითარგმნოს როგორც Mother tongue (ან გერმანულად, როგორც Muttersprache...). ქართულ ენაში „დედაენა“ ნიშნავს მოცემული ერის მთავარი ენას, უპირველეს ენას, მოცემული საზოგადოების ისტორიული კულტურის და მწერლობის ენას და არა – პირველყოფილი საზოგადოების ენას, „კერიის ენას“ ან – ოჯახის ენას.

ტ. ვიხერკევიჩისა და ჯ. უითლის საკამათო კვალიფიკაციებიც ცხადყოფს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ენობრივი სიტუაციის აღწერის დროს კრიტიკულად უნდა მივუდგეთ საბჭოთა პერიოდში შექმნილი პოლიტიზებულ იდეოლოგიებს, რომ ადეკვატური შედეგი მივიღოთ; ჩვენს შემთხვევაში, საქართველოში ენობრივი სიტუაციის აღწერისას გასათვალისწინებელია რუსეთის იმპერიის – ოკუპანტი ქვეყნის – მიერ 155 წლის განმავლობაში დემოგრაფიული ექსპანსიის შედეგებიც და ქართველი ერის დასანაწევრებლად შექმნილი ე.წ. ოთხი თუ სამი ქართველური ენის პოლიტიზებული თეორიის ნეიტრალიზაციის აუცილებლობაც. კიდევ ერთხელ მოკლედ „ოთხი ენის“ საბჭოთა „კონცეფციის“ შესახებ:

ქართველთა ენობრივი ისტორიის ყველა მცოდნემ იცის, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული (როდესაც რუსეთმა დაასრულა კავკასიის იარაღით დაპყრობა), ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ საბჭოთა რუსეთის, დღეს კი პუტინის რუსეთის იდეოლოგიები ცდილობენ, ისტორიული დედაენა – ქართული ენა და ამ ენაზე შექმნილი დიდი სამწიგნობრო კულტურა გაუუცხოვონ ქართველთა ერთ ნაწილს, კერძოდ, მეგრელებს, ლაზებს, სვანებს. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებით იღვანეს საბჭოთა პერიოდში, როდესაც ქართულის პარალელურ „უმწერლობო ენებად“ გამოაცხადეს მეგრული, ლაზური, სვანური მეტყველებები. „უმწერლობო ენა“ ის ენაა, რომელ ენაზე არ არსებობს სა-

მწიგნობრო ტრადიცია; რაც იმას ნიშნავს, რომ ამ „ენის“ მფლობელ საზოგადოებას დედაენაზე არა აქვს სამწიგნობრო კულტურა²³.

საქართველოს ენობრივი სიტუაციისა და საქართველოს ენობრივი უმცირესობების შესახებ ერთ-ერთი ბოლო კვლევა ეკუთვნის პროფ. კ. გაბუნიას; კერძოდ, 2014 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი: „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“²⁴. მისი აზრით, „ენობრივ უმცირესობად იწოდება ენა, რომელზეც შესაძლებელია ლაპარაკობდნენ უმცირესობები ეროვნული ტერიტორიის ნაწილზე“ (გვ. 50-51). აქვე კ. გაბუნია წერს: „ქართველური ენების ერთ-ერთი სახესხვაობა – ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობს; სხვა ქართველურ ენათაგან ყველა უმწერლობო (დამწერლობის არმქონე) ენებია“ (გვ. 53)... კ. გაბუნიას თავის წერილში სხვა მეცნიერთა „პოლიტიზებაზე“ უსაფუძვლოდ საუბრობს (გვ. 59), ამ დროს კი, თავად ვერ აღწევს თავს საბჭოთა პერიოდში პოლიტიზებულ იდეოლოგიებს და დღესაც ქართველთა ნაწილს უმწერლობო ენების მფლობელებად აცხადებს.

ჩემი აზრით, „უმწერლობო ენა“ არ შეიძლება ჰქონდეს სულ მცირე 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის მქონე ხალხს. რომელიმე მეტყველებისადმი „უმწერლობო ენის“ სტატუსის მინიჭება გულისხმობს ამ ენის მფლობელი საზოგადოების გამოცხადებას ისეთ „ხალხად“, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი ტრადიცია და რომელსაც წერილობითი კულტურისათვის აქვს სხვათა მიერ შექმნილი სამწერლობო ენა... **ქართველთა რამდენიმე ჯგუფის გამოცხადება უმწერლობო ენის მქონე ხალხად, საბჭოთა იდეოლოგიის ინერციაა**. სწორედ საბჭოთა კვაზიმეცნიერული დებულებების გაზიარების გამო შედის კ. გაბუნია გამოუვალ ჩიხში როცა წერს:

„კითხვარებში, რომლებიც გამოიყენება სოციოლინგვისტური აღწერისას, ენობრივ საკითხებზე დასმული შეკითხვები, როგორც წესი, ფოკუსირებულია, **ერთი მხრივ, პირველ (მშობლიურ) ენაზე**, მეორე მხრივ – ყოველდღიურად გამოყენებულ სხვა, **არამშობლიურ ენაზე (ხაზი ჩემია – ტ.ფ.)**, რომელზეც ლაპარაკობენ სახლში, მეზობლებთან, სახელმწიფო უწყებებ-

23 მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე 2019. ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბილისი. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315617>

24 კ. გაბუნია 2014. ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისთვის, №3, გვ. 45-69.

თან ურთიერთობისას, სკოლაში ან სამსახურში და ა. შ. (გვ. 55)... საქართველოს სვანურენოვანი და მეგრულენოვანი მოსახლეობა ზეპირმეტყველების მიმართულებით (ლაპარაკი, მოსმენა) ძირითადად გამოიყენებს **პირველ ენას (სვანურს, მეგრულს)**, მაგრამ კითხვისა და წერის კომპონენტებს, ასე ვთქვათ, „ავსებს“ საერთოქართველური სტატუსით გამაგრებულ სალიტერატურო ქართული ენით“ (გვ. 63).

დამოწმებული ტექსტიდან გამოდის, რომ მეგრელის **პირველი ენაა** მეგრული, ხოლო მეგრელისათვის ქართული ენა „**არამშობლიური ენაა!**“ ამგვარი დასკვნა ფაქტებსა და სწორ წინამძღვრებს არ ემყარება, უსაფუძვლოა; ფაქტი სხვაგვარია: სალიტერატურო ქართული ენა საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობის მიერ და ისევე მშობლიურია მათთვის, როგორც სხვა ქართველებისათვის.

სწორი მეთოდოლოგიით შედგენილი კითხვარის გამოყენების შემთხვევაში სულ სხვა შედეგს მიიღებდა კ. გაბუნიას ჯგუფიც; კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილია ფაქტია და ამას ჩვენ მიერ დატარებული კვლევაც ადასტურებს, რომ სამეგრელოშიც და სვანეთშიც ადგილობრივი მოსახლეობა ზეპირმეტყველებისას (ლაპარაკი, მოსმენა) იყენებს როგორც ქართულ სალიტერატურო ენას – ისტორიულ დედენას (ეროვნულ ენას, პირველ ენას), ასევე, კუთხურ მეტყველებას (მეგრულს თუ რომელიმე სვანურ დიალექტს); კერძოდ: დიალექტს მეტწილად – ოჯახში და შინაურ გარემოში, სალიტერატურო ენას – შინაურ გარემოშიც და სახლს გარტაც; მით უმეტეს, ოფიციალური საუბრისას (სუფრასთან, შეკრებაზე, სხდომაზე...). ის ფაქტი, რომ ბავშვი ენას იდგამს რომელიმე კონკრეტულ კილოსა თუ კილოკავზე, არ ნიშნავს იმას, რომ მას არამშობლიურად ენად გამოვეცხადოთ წინაპრების მიერ შექმნილი ენა, რომელსაც ეს საზოგადოება მრავალი საუკუნის განმავლობაში იყენებს როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე, ღვთისმსახურების, სამწიგნობრო კულტურის შექმნისა თუ საქმისწარმოების პროცესში.

თავის სტატიაში კ. გაბუნია რატომღაც ეჭვის ქვეშ აყენებს ჩემ მიერ დამოწმებულ ერთ დებულებას და „საკითხის პოლიტიზების მცდელობად“ მითვლის (გვ. 59); კერძოდ, მე ვწერ: **„როგორც წესი, ერთ ერს (ეთნიკური გაგებით) ერთი დედაენა აქვს“**. ჩანს, ბ-ნი კ. გაბუნიასათვის უცნობია, რომ ბევრ შემთხვევაში ენა ეთნოსის იდენტობის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორია (ზოგ შემთხვევაში, ეთნოსის უმთა-

ვრესი მახასიათებელია რელიგიაცა). სიცხადისათვის დავიმოწმებ რამდენიმე სხვა მკვლევარის განმარტებას:

დევიდ კრისტალი: „ამ ბოლო წლებში, ენათმეცნიერებმა კვლავ ყურადღება მიაქციეს ენის იმ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომელთაგან ერთ-ერთია... თვითაღქმის გამოხატვა: ვინ ვართ ჩვენ (როგორც ინდივიდი და როგორც ამა თუ იმ ჯგუფის წევრი), საიდან ვართ (რეგიონული, სოციალური, საქმიანობის თვალსაზრისით) – ეს [ყველაფერი] გამოიხატება ორგვარი სახით: ზოგადენობრივად – საკუთარი ენით, რომელიც უჩვენებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას და შიდაენობრივად – კუთხური აქცენტით ან კილოთი, რომელიც ცხადყოფს, თუ საიდან ვართ წარმოშობით. ესაა ენის თვითაღქმითი ფუნქცია“²⁵

ორვილ ბოიდ ჯენკინსი: „ენა არის უპირველესი და ყოველთვის წარმოდგენილი თავისებურება ეთნიკურობისა. ენის გარეშე თქვენ გეძნებათ ეთნიკურობის უსრული აღქმა. ენა არის ეთნიკურობის პირველი კომპონენტი. ენა უკავშირდება ჩვენს ფსიქიკას – როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ენა არის აზროვნების საშუალება და ამდენად, იგი მსოფლხედვის განუყოფელი ნაწილიცაა. მსოფლმხედველობითი განსხვავებანი იწვევს სხვაობას აზროვნებასა და ენაში. დიახ, ენა ეთნიკურობის უპირველესი კომპონენტია – კვლავაც ერთადერთი [გამორჩეული] მრავალთა შორის“²⁶

25 „ენა – ურთიერთობის საშუალება, ბარიერი თუ ტროას ცხენი?“ Language: Medium, Barrier or Trojan Horse?: „In recent years, linguists have drawn attention to the existence of other functions of language, one of which is... language as the means of expressing identity: who we are (as an individual or a group), where we are from (regionally, socially, occupationally). It manifests itself both interlinguistically, in the form of the individual languages, which identify the nation states or ethnic groups, and intralinguistically, in the form of the local accents and dialects, which reflect where we were brought up. This is the identify view of language“
<http://www.davidcrystal.com/Files/BooksAndArticles/-4879.pdf>

26 „კილოები, ენები და ეთნიკურობა“ Dialects, languages and ethnicity: Language is a primary characteristic and an *always present* characteristic of ethnicity. Without language you would have an incomplete description of ethnicity. Language is the primary component of ethnicity. Language is tied up with our psyche, as individuals and as a society. Language is a component of thought. Thus language is integral to worldview. Differences in worldview involve differences in thought and language. Yes, language is the primary component of ethnicity. Yet it is still only one component among others. <http://ojtr.org/languages/di->

კიმბერლი ა. ნოელზი: „ენასა და ეთნიკურობის ურთიერთდამოკიდებულება კარგა ხანია, სოციოლინგვისტთა ინტერესის საგანია. ენობრივ ერთეულთა ვარიაციების არსებობას მათზე მეტყველთა ეთნიკურობა განაპირობებს და პირიქით – [ამა თუ იმ] ენაზე მეტყველება განაპირობებს ეთნიკურობას.“²⁷

მასაცუგუ მაცუო: „მიუხედავად იმისა, რომ ენა არაა ერთადერთი ან უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ერთმანეთისგან განასხვავებს ეთნოსებს, ბევრი მეცნიერი კვლავინდებურად დარწმუნებულია, რომ ენა არის იმ ძირითად ფაქტორთაგანი, რომლებიც ერთი ეთნოსის მეორისგან განსხვავების საფუძველს ქმნის“²⁸...

სხვა მრავალი თანამედროვე სპეციალისტის თვალსაზრისის დამოწმებაც შესაძლებელია²⁹; ჩვენთვის უდავოა, რომ როგორც წესი, ენა და ეთნოსი ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია (არის ცალკეული გამონაკლისებიც); სწორედ ამის გათვალისწინებით, რუსეთის იმპერიის მოხელეები 155 წელია ცდილობენ, ქართველები დააჯერონ რომ სხვადასხვა ენები: ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური... სამწუხაროა, რომ ეს პოლიტიზებული იდეოლოგემა ზოგმა ენათმეცნიერმაც და ენობრივი პოლიტიკის სპეციალისტმაც დაიჭერა. არც ის გამოირიცხება, რომ თანამედროვე რეალობაში ქართველთა ოთხ „პირველ ენაზე“ საუბარი ქართველთა ე.წ. ოთხი დედაენის თეორიის შეფუთვის მცდელობაა.

ჯ. უთლისაგან განსხვავებით, კ. გაბუნია სიფრთხილით არ ეკიდება არც უმწერლებს

alectslangsethnicity.html

27 „ენობრივი ვარიაცია და ეთნიკური თვითაღქმა: სოციოლურ-ფსიქოლოგიური პერსპექტივა“ Language variation and ethnic identity: A social psychological perspective: The relation between language and ethnicity has long interested sociolinguists and social psychologists alike. Variations in linguistic patterns are argued to be influenced by speakers' ethnicities, and, in a reciprocal fashion, language use has been suggested to create and substantiate ethnicity.

http://sites.psych.ualberta.ca/IClab/wordpress/wp-content/uploads/2016/08/Noels2014_LangComm.pdf

28 ენა და ეთნიკურობა: მრავალფეროვანი დამოკიდებულება Language and Ethnicity: An Iridescent Relation: „Though language is not the only factor or the most important factor, which distinguishes ethnic groups, many scholars have so far argued that language is among the key factors in terms of which an ethnic group is distinguished from other group(s)“. <http://home.hiroshima-u.ac.jp/heiwa/Pub/E23/03matsuo.pdf>

29 მაგ., ჯოშუა ფიშმანის მსჯელობისათვის იხ.: Language and Ethnic Identity <http://people.cas.sc.edu/dubinsk/LING240/readings/Liebkind.1999.Social.psychology.pdf>.

ენისა და დიალექტის გასამიჯნი კრიტერიუმის თემას და კატეგორიულად წერს: „ენად კვალიფიცირება ხდება სისტემური იგივეობა-სხვაობების მიხედვით – ეს არის აქსიომა ენათმეცნიერებისთვის და სხვა მიდგომები უკვე სცილდება ლინგვისტიკის სფეროს. შესაბამისად, ლინგვისტური ცნებებისა (ენის, დიალექტის და ა. შ.) და მათი ურთიერთმიმართების დადგენა ლინგვისტიკაში მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმებით არის შესაძლებელი...“ (გვ. 59). წარმოდგენილ ციტატაში ორი არსებითი შეცდომაა:

(1) მსოფლიოში არსებული არც ერთი ენის სტატუსი არ დადგენილა „სისტემური იგივეობა-სხვაობების“ მიხედვით. რაც მთავარია, სისტემური იგივეობა-სხვაობა არ არის ენად თუ კილოდ კვალიფიცირების საიმედო კრიტერიუმი: ბევრი ენა, მაგალითად, რუსული და უკრაინული, აზერბაიჯანული და თურქული, რუმინული და მოლდავური, სერბული და ხორვატული... ენადაა კვალიფიცირებული, მაგრამ, „სისტემურად“ გაცილებით ახლოსაა, ვიდრე, მაგ., გერმანული ენის დიალექტები, არაბული ენის დიალექტები, ფრანგული ენის დიალექტები, იტალური თუ სომხური ენების დიალექტები... ამ ფაქტებთან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილობაა აქსიომად მივიჩნიოთ კ. გაბუნიას მოსაზრება, რომ თითქოსდა „სისტემური იგივეობა-სხვაობები“ არის ენისა და კილოს გასამიჯნი ლინგვისტური კრიტერიუმი³⁰.

(2) კ. გაბუნიას მოსაზრება („ენად კვალიფიცირება ხდება სისტემური იგივეობა-სხვაობების მიხედვით – ეს არის აქსიომა ენათმეცნიერებისთვის და სხვა მიდგომები უკვე სცილდება ლინგვისტიკის სფეროს“) ალოგიკურია იმიტომაც, რომ აქ გათვალისწინებული არ არის სო-

30 ე.წ. „სისტემური იგივეობა-სხვაობების“ კრიტერიუმის კრიტიკული ანალიზისათვის იხ., აგრეთვე, მ. ლაბაძე 2016. ენისა და კილოს გამოიჯნის პრობლემა: სისტემურ-სტრუქტურული კრიტერიუმის კრიტიკული ანალიზი“, ქართველური მეშვიდობა, XX, ქუთაისი. გვ 140-152. ენისა და კილოს კრიტერიუმების შესახებ ვრცლად იხ.: თ. გვანცელაძე 2006. ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., „უნივერსალი“; ტ. ფუტკარაძე 2008. ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი; ტ. ფუტკარაძე, 2016. ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმები და ქართველურ იდიომათა კვალიფიკაციის პოლიტიზების რეტროსპექტივა, ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VII, თბილისი; მ. ლაბაძე, 2019. ენისა და კილოს გამოიჯნის საკითხი ლინგვისტურ ქართველოლოგიაში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. თბილისი (ელექტრონული გამოცემა) და სხვ.

ციოლინგვისტური მიდგომები; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენისა და კილოს სტატუსი მეტწილ შემთხვევაში დგინდება არა ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურების იგივეობის მიხედვით, არამედ – მოცემული ენობრივი სახესხვაობის სოციალური სტატუსის მიხედვით, რასაც სოციოლინგვისტიკა სწავლობს; სოციოლინგვისტიკა კი ნამდვილადაა ენათმეცნიერების დარგის ნაწილი.

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ:

ეთნიკურ/ენობრივ უმცირესობათა „ენობრივი უფლებების“ დამცავ საკანონმდებლო ბაზაზე მსჯელობისას, საქართველოს ხელისუფლების მიერ პირველ რიგში გასათვალისწინებელია „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის“ მამების პოზიცია ავტოქთონი (ისტორიული) უმცირესობებისა და ახალი უმცირესობების განსხვავების აუცილებლობის შესახებ; თუმცა, საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ენის, ავტოქთონი უმცირესობებისა თუ მიგრანტი უმცირესობების ლინგვისტური უფლებების სრული რეალიზაცია შეუძლებელია საქართველოს სრულ დეოკუპაციამდე.

ცივილიზებულ სამყაროსთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესში არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის აკადემიურ, დეპოლიტიზებულ აღწერებსა და კვალიფიკაციებს. საშური, საერთაშორისო სამეცნიერო თუ საინფორმაციო ველში დროულად დაბალანსდეს ქართველოლოგიის სფეროში არსებული რუსულიმპერიული იდეოლოგიემები და კვალიფიკაციები.